

კაიშაური მ.

თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი

უაგ. 551.58

მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსები./

საქართველოს კურორტებმა დიდი ხანია მოიპოვეს ფართო აღიარება. მათი მიმზიდველი ბუნება, სახელგანთქმული კავკასიონის მთებისა და შავიზღვისპირეთის განუმეორებელი პანორამა, ამასთანავე, მრავალნაირი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორები არის საქართველოს ზღვისპირა, ბალნეოლოგიურ და მთის კურორტებზე მკურნალობისა და დასვენების მსურველთა რიცხვის ზრდის მიზეზი.

საქართველოში საკურორტო საქმის გეგმაზომიერი განვითარება დაიწყო 1921 წლიდან, და ჩაეყარა საფუძველი საკურორტო მშენებლობას. შესწავლილი და სისტემატიზებულ იქნა საქართველოს საკურორტო რესურსები.

საქართველოს კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჩატარებული კვლევების საფუძველზე მოხერხდა საქართველოს საკურორტო-რეკრეაციული რესურსების განზოგადოება [1,2 და სხვ.]. მიუხედავად ამისა, ჩატარებული კვლევები ვედარ აკმაყოფილებს მეცნიერების და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს. დღეს, საქართველოს რეგიონალური მართვის პირობებში, აუცილებელია, რომ თითოეულ რეგიონს გააჩნდეს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე შეფასებული ბუნებრივი პირობების და რესურსების, მათ შორის საკურორტო რესურსების, სრული კადასტრი. ასეთ პირობებში დროულად მიგვაჩნია ჩვენი საკვლევი რეგიონის – მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსების საფუძვლიანი შეფასება. ასეთი შეფასების არსებობა აუცილებელი პირობაა რეგიონის აღორძინებისათვის, მისი მდგრადი განვითარებისათვის. აქედან გამომდინარე მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსების შესწავლა თანამედროვე და აქტუალურია.

საქართველოში გამოყოფილი 11 საკურორტო-რეკრეაციული რაიონიდან ერთ-ერთი **მესხეთ-ჯავახეთია** [1]. ჩვენი მიზანი იყო ამ რაიონის კურორტების და საკურორტო ადგილების ძირითადი კლიმატური მაჩვენებლების განსაზღვრა, და საკურორტო რესურსების დეტალური შეფასება, რისთვისაც გამოვიყენეთ სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების მასალა[1-8]. ცხრ.1-ში წარმოდგენილია რაიონის კურორტების და საკურორტო ადგილების ნუსხა, მათი ზღვის დონიდან სიმაღლე, პროფილი და ჩვენს მიერ გამოანგარიშებული ძირითადი კლიმატური მაჩვენებლები.

კურორტების და საკურორტო ადგილების კლიმატური მაჩვენებლების გამოსაანგარიშებლად გამოვიყენეთ მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემები, აგრეთვე იზოთერმების, იზოჰიეტების და ქარის სიჩქარის რუკები [3]. კლიმატური მაჩვენებლების გამოანგარიშებისას ვიყენებდით კორელაციური ანალიზის მეთოდებს.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მესხეთ-ჯავახეთის კურორტები და საკურორტო ადგილები განლაგებულია 970-დან 2000მ-მდე სიმაღლის ფარგლებში. ისინი მიეკუთვნება დაბალი მთის (500-1000მ), საშუალო მთის ქვედა სარტყლის (1000-1500მ) და საშუალო მთის ზედა სარტყლის (1500-2000მ) საკურორტო ზონებს.

ცხრილი 1. მესხეთ-ჯავახეთის კურორტების და საკურორტო ადგილების მახასიათებლები

კურორტი*, საკურორტო ადგილი	სიმაღლე , მ	პროფილი	იანვრის საშუალო ტემპერატურა	ივლისის საშუალო ტემპერატურა	წალექების წლიური ჯამი	ქარის საშუ- ალო სიჩ- ქარე მ/წმ
აბასთუმანი*	1250	კლიმატო- ბალეოლო გიური	-5.4	17.2	688	0.6
ასპინძა*	1050	ბალნეო კლიმატ- ური	-2.2	20.1	520	2.0
ახალციხე*	985	ბალნეო კლიმატ- ური	-3.8	20.4	554	1.6
ვარძია*	1100	ბალნეოლ - ოგიური	-2.8	19.0	500	2.1
ურაველი*	1020	ბალნეო კლიმატ- ური	-2.2	20.0	620	3.0
ზარზმა	1340	კლიმატ- ური	-6.0	16.7	690	1.0

ტისელი	1320	კლიმატური	-5.3	19.0	600	2.0
გარტა	1800	კლიმატური	-6.0	16.0	600	2.2
ოტა	1460	კლიმატური	-4.2	18.0	550	2.0
წყალთბილა	1120	კლიმატო-ბალეოლოგიური	-4.5	19.0	600	2.0
გურკელი	970	ბალნეოკლიმატური	-3.5	20.5	550	2.0
ჩობარეთი	1950	კლიმატური	-6.7	15.5	600	2.5

დაბალი მთის საკურორტო ზონაში განლაგებულია ახალციხე და გურკელი. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად მშრალი ჰავა, რბილი მცირეთოვლიანი ზამთრით და ზომიერად მშრალი ზაფხულით. ამინდების კომპლექსური კლასიფიკაციის თანახმად, წლის თბილი პერიოდის განმავლობაში ჭარბობს მზიანი, ზომიერად ნოტიო ამინდები, ხოლო წლის ცივი პერიოდის განმავლობაში სუსტად ყინვიანი ამინდები. კლიმატოთერაპიული მნიშვნელობა აქვს იმ ადგილებს, სადაც მდიდარი ფოთლოვანი და წიწვოვანი მცენარეულობაა.

საშუალო მთის ქვედა სარტყლის საკურორტო ზონას მიეკუთვნება დანარჩენი კურორტები აბასთუმანი, ასპინძა, ვარძია, ურაველი და საკურორტო ადგილების უმრავლესობა ზარზმა, ტისელი, ოტა, წყალთბილა. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად რბილი თოვლიანი ზამთარი და ზომიერად თბილი, ზომიერად მშრალი ზაფხული. წლის თბილი პერიოდის განმავლობაში გაბატონებულია მზიანი, ზომიერად ნოტიო ამინდები, ხოლო ცივი პერიოდის განმავლობაში ზომიერად ყინვიანი ამინდები. საკურორტო ზონის ჰავა ხასიათდება მაღალი თერაპიული თვისებებით და მისი გამოყენება პერსპექტიულია, ძირითადად, სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა სამკურნალოდ.

საშუალო მთის ზედა სარტყელს მიეკუთვნება საკურორტო ადგილები გარტა და ჩობარეთი. ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად რბილი ზამთარი მდგრადი თოვლის საფარი და ზომიერად გრილი, ზომიერად მშრალი ზაფხული. წლის თბილი პერიოდის განმავლობაში ჭარბობს მზიანი, ზომიერად ნოტიო და წვიმიანი ამინდები, ხოლო წლის ცივი პერიოდის განმავლობაში სუსტად ყინვიანი ამინდები. საკურორტო ზონის ჰავა ნაჩვენებია, აგრეთვე, სასუნთქი ორგანოებით დაავადებულთა სამკურნალოდ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არის გამოკვეთილი სისხლის მიმოქცევის უკმარისობა.

განვიხილოთ მესხეთ-ჯავახეთის ცალკეული კურორტების ძირითადი გეოგრაფიული თავისებურებები, საკურორტო ფაქტორები და სამკურნალო თვისებები:

აბასთუმანი სოფელია ადიგენის რაიონში, მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე ოცხის ხეობაში, სამთო-კლიმატური კურორტი; ადიგენიდან 25კმ, ხოლო ქ.ახალციხიდან 28კმ დაშორებით მდებარეობს.

აქ ატმოსფეროს მაღალი გამჭირვალობა და სტაბილურობა ახასიათებს. ამიტომაც ჯერ კიდევ 1932 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.

მზიანი დღეების საშუალო წლიური რაოდენობა, დაახლოებით, 250 -ს აღწევს.

კურორტი ცნობილია თავისი საუკეთესო კლიმატური პირობებით, როგორც საუკეთესო საშუალება ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ. აქ წიწვიანი ტყეებია.

სახელგანთქმულ კურორტ აბასთუმნის, რომელიც ფუნქციონირებს XIX საუკუნის შუა წლებიდან, მთის რბილი ჰავა ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია. მაგრამ, ამის გარდა, კურორტზე მოიპოვება თერმული (+41 – 48°C) მინერალური წყლების მნიშვნელოვანი მარაგი, რომელიც ქიმიური შემადგენლობით მიეკუთვნება კაჟიან, სულფატურ-ქლორიდულ, კალციუმ-ნატრიუმთან წყლებს დაბალი მინერალიზაციით (0,6გ/ლ). სამი წყაროს დღე-ღამის დებიტი 1 მილიონ ლიტრს აღემატება.

აბასთუმანი, ძირითადად, განკუთვნილია ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ, მინერალური წყლების აბაზანები ენიშნებათ საყრდენ-სამომძრაო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური პროფილის თანმხლებ დაავადებათა დროს.

ასპინძა, ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი, დაბა, მდებარეობს მესხეთში, მდ.მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, უახლოესი რკინიგზის სადგურია ახალციხე, რომელთა შორის მანძილია 34კმ.

მდ.მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს კურორტი ასპინძა.

წამყვანი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია თერმული (ტემპერატურა +41-42°C) მინერალური წყლები მიღებული ბურღილებით, რომელთა საერთო დებიტი 0,5 მილიონ ლიტრამდე აღწევს დღე-ღამეში. ქიმიური შემადგენლობით ეს წყლები მიეკუთვნება სუსტად სულფიდურ, სულფატურ-ქლორიდულ ნატრიუმ-კალციუმთან წყლებს, შეიცავს 40-45მგ/ლ კაჟის მჟავას და 3,5-4,0მგ/ლ სულფიდებს, 0,8-1,0გ/ლ საერთო მინერალიზაციით.

აღნიშნულ წყლებს იყენებენ აბაზანების სახით საყრდენ-სამომდრო აპარატის ქრონიკული, პერიფერიული ნერვული სისტემისა და კანის დაავადებების სამკურნალოდ.

ახალციხე – ადმინისტრაციული რაიონის ცენტრი, ქალაქი, მდებარეობს მესხეთში, მდ.ქვაბლიანის ორივე ნაპირზე.

კურორტის ტერიტორია, თითქმის, იზოლირებულია შავი ზღვიდან მომავალი ჰაერის თბილი მასების გავლენი-საგან, რაც განაპირობებს ჰაერის, შედარებით, დაბალტენიანობასა და ნალექების მცირე რაოდენობას.

კურორტის ძირითადი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორია თერმული (ტემპერატურა +38°C) მინერალური წყლები, რომელთა დღე-ღამის დებიტი 500 ათას ლიტრს შეადგენს. ისინი მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, მაგნიუმ-ნატრიუმთან წყლებს, მიახლოებით, 9გ/ლ-მდე მინერალიზაციით.

ახალციხის მინერალური წყლები გამოიყენება სააბაზანო პროცედურების სახით, საყრდენ-სამომდრო აპარატის, პერიფერიული ნერვული სისტემისა და გინეკოლოგიური პროფილის დაავადებების დროს. იხმარება, აგრეთვე, სასმელად კუჭ-ნაწლავის ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალოდ.

ვარძია – ცნობილი გამოქვაბული, სამონასტრო ქალაქი, მდებარეობს ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილის მახლობლად, სოფელ ხერთვისიდან 18კმ დაშორებით, მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე. ვარძიის გამოქვაბული რამდენიმე სართულისაგან შედგება. გამოკვეთილია (მიკრობრეჭიული აგებულების) ვულკანური ფერფლის ტუფებში.

ჰაერი სუფთაა და გამჭირვალე, გაჟღენთილია წიწვის არომატით. დამახასიათებელია მზიანი დღეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ვარძიის საკურორტო რესურსების საფუძველია თერმული მინერალური წყლები. პირველი წყაროს (ბურღილის) დღე-ღამის დებიტი 50 ათას ლიტრამდე აღწევს (ტემპერატურა +46°C), ქიმიური შემადგენლობით ეს წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა ქლორიდულ-ჰიდროკარბონატულ-ნატრიუმთან წყლებს 12გ/ლ საერთო მინერალიზაციით. მათ შემადგენლობაშია ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტები: კაჟის მჟავა (62მგ/ლ), ფტორი (1,8მგ/ლ-მდე), ბრომი (5მგ/ლ-მდე) და სხვ. 2კმ-ზე პირველი წყაროდან, მდ.მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ასევე ბურღილით მიღებულია შემადგენლობით ანალოგიური წყლები 13გ/ლ საერთო მინერალიზაციით და ტემპერატურით +55°C, რომელთა დღე-ღამური დებიტი 30 ათას ლიტრს შეადგენს.

ორივე წყაროს მინერალური წყლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სასმელად, ასევე სააბაზანო პროცედურებისათვის.

ურაველი განლაგებულია ახალციხის რაიონში, 16კმ-ზე რაიონული ცენტრის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ.ურაველის წყლის (მდ.მტკვრის შენაკადი) ხეობაში, თრიალეთის ქედის (მცირე კავკასიონი) ფერდობზე.

კურორტზე არის მინერალური წყაროები, რომელთა დღე-ღამის დებიტი 70 ათას ლიტრამდე აღწევს. ქიმიური შემადგენლობით ეს მინერალური წყლები მიეკუთვნება ნახშირმჟავა, ჰიდროკარბონატულ, ნატრიუმ-კალციუმ-მაგნიუმთან წყლებს, რომლებიც შეიცავენ ნახშირმჟავა გაზს (1,2გ/ლ-ზე მეტს) და ბიოლოგიურად აქტიურ კომპონენტებს (90მგ/ლ მეტ კაჟის მჟავასა და 10მგ/ლ მეტ ორვალენტთან რკინას). საერთო მინერალიზაცია აღწევს 3გ/ლ. მინერალური წყლები გამოიყენება როგორც სააბაზანო პროცედურებისათვის (საყრდენ-სამომდრო აპარატისა და პერიფერიული ნერვული სისტემის დაავადებათა დროს), ასევე სასმელად – კუჭ-ნაწლავის სნეულებათა სამკურნალოდ.

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. ატლასი. მოსკოვი, 1989.
2. Элизбарашвили Э.Ш., Гонгладзе Н.Ш. Климатография курортов Грузии. Тб., 1980.247 с.
3. ე. ელიზბარაშვილი.საქართველოს კლიმატური რესურსები. თბილისი, 2007, 328 გვ.
4. მ.კორძაია. საქართველოს ჰავა. თბილისი, 1961, 147გვ.
5. საქართველოს სსრ კურორტები. თბილისი, 1987. 20გვ.
6. კ.გოგიშვილი. საქართველოს კურორტების კლიმატური რესურსები. თბილისი, 1966, 18გვ.
7. მ.ნოდია. საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები. თბილისი, 1976, 127გვ.
8. ინტერნეტი. ვიკიპედია.

შპს 551.58

მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო რესურსები./კაიშაური მ./საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომათა კრებული-2011.-ტ.117.-გვ.92-94-ქართ.;რუხ.ქართ.,ნგლ. რუს

ნაშრომში განსაზღვრულია მესხეთ-ჯავახეთის საკურორტო-რეკრეაციული რაიონის კურორტების და საკურორტო ადგილების ძირითადი კლიმატური მაჩვენებლები, განხილულია რაიონის საკურორტო ფაქტორები, შეფასებულია საკურორტო რესურსები და განსაზღვრულია მათი სამკურნალო ფაქტორები.

UDC 551.58

RESORTS RESOURCES OF MESKHET-JAVAKHETI /KAISHAURI M/ Transactions of the Institute of Hydro-meteorology, Georgian Tekhnicl University. -2011. - т.117. – pp. 92-94. - .Georg.; Summ. Georg.; Eng.; Russ

In the work the main climatic showings of health resorts of Meskhet-Javakheti health resort recreate region are determined, there are considered health resort factors of the region, health resort resources are estimated and their treatment factors are determined

УДК 551.58

КУРОРТНЫЕ РЕСУРСЫ МЕСХЕТ-ДЖАВАХЕТИ. /КАЙШАУРИ М/ Сб. Трудов Института Гидрометеорологии Грузинского Технического Университета Грузии. –2011. – т.117. – с.92-94. –Груз.; Рез. Груз., Англ.,Рус

В работе определены основные климатические показатели курортов и курортных мест курортно-рекреационного района Месхет-Джавахеги, рассмотрены курортные факторы района, оценены курортные ресурсы и определены их лечебные факторы.